



საქართველოს კრედიტის ბანკარბულება

№ 11/03/01 2011 წლის 11 მარტი ქ. თბილისი

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოში 2006-2010 წლების განმავლობაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტიანი და მრავალმხრივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და ეფექტიანად ამოქმედების შედეგად საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა თვისობრივად ახალ, წარმატებულ ეტაპზე გადავიდა. ამ მრავალმხრივ პროცესში აშკარად გამოიკვეთა საქართველოს სახელმწიფოს ლიდერობა და მისი ნება, სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული, დისციპლინათმორისი და ინტერსექტორული მიდგომით შეექმნა მდგრადი და მუდამ განვითარებადი სისტემა. მდგრადი შედეგების მიღწევა შესაძლებელი გახდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2006 წელს მიღებული საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)